

„ვამტკიცებ“

ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სპორტული ცენტრი

გაერთიანების დირექტორი:

მ. კურდღელაშვილი



2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჩვენი თანამემამულეების  
გია კირაკოზაშვილის და რეზო მამისაშვილის  
ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 2005-2007 წლებში  
დაბადებულ მოჭიდავეებს შორის.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### I. მიზანი და ამოცანები.

1. ტურნირი მიზნად ისახავს ძიუდოს პოპულარიზაციას და განვითარებას.
2. სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობის გამყარებას.
3. პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლენას.
4. ომში დაღუპული ჩვენი თანამემამულეების სახელების უკვდავყოფა.

### II. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

1. ტურნირი ჩატარდება 2018 წლის 19-21 ოქტომბერს,  
მისამართზე: ქ. საგარეჯო დ. აღმაშენებლის 37
2. მონაწილეთა მიღება 19 ოქტომბერს, ვინც ამ დღეს ჩამოვა ამავე დღეს  
აიწონება.
3. მონაწილეთა აწონვა და შეჯიბრის ჩატარება 20 - 21 ოქტომბერი.  
აწონვა დილის 8 საათიდან 10 საათამდე.
4. შეჯიბრის დასაწყისი 11:00

### III. წონითი კატეგორიები

წონითი კატეგორიები 24; 27; 30; 34; 38; 42; 46; 50; 55; 60; 66; 73; +73;  
ყველა წონით კატეგორიაში 0,5 კგ დაშვება.  
პირველი დღეს 20 ოქტომბერს იჭიდავებენ: 24; 27; 30; 34; 38; 42;  
მეორე დღეს 21 ოქტომბერს იჭიდავებენ: 46; 50; 55; 60; 66; 73; +73;

#### IV. ტურნირის ჩატარების ხელმძღვანელობა

ტურნირის ჩატარებას ხელმძღვანელობს ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანება და მის მიერ დამტკიცებული მსაჯთა ბრიგადა.

#### V. მიღების პირობები და ფინანსური ხარჯები

ტურნირზე მონაწილე გუნდის განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს აწონვის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. მონაწილე სპორტსმენს თან უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობა (დედანი)
2. მოსწავლის ბილეთი (სურათით)

მიმავლინებელი ორგანიზაცია გაიღებს მგზავრობის, კვების და სასტუმროს საფასურს. სასტარტო შესატანი მონაწილეზე 10 ლარი. სოციალურად დაუცველები განთავისუფლებილი არიან სასტარტო შესატანიდან. (დამადასტურებელი საბუთი წარმოადგინეთ ადგილზე)

თანხა ჩარიცხეთ - ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში **746107519** გადახდის ქვითარი წარმოადგინეთ ადგილზე.

#### VI. დაჯილდოება

I-II-III ადგილზე გასული მოქიდავეები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და მედლებით. გათამაშდება გია კირაკოზაშვილის და რეზო მამისაშვილის სახელობის პრიზები.

აღნიშნული დებულება ითვლება შეჯიბრებაზე ოფიციალურ გამოცხადებად.

საკონტაქტო ტელეფონები:

595 45-30-03 მამუკა კურდღელაშვილი-სპორტული გაერთიანების დირექტორი

599-37-97-09 მამუკა მათიაშვილი - მწვრთნელი

ელექტრონული მისამართი: [sagarejosporti@yahoo.com](mailto:sagarejosporti@yahoo.com)

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება.